

საქართველოში ბეჭობის არწივის (*Aquila heliaca*)
გავრცელების, ეკოლოგიისა და მის წინაშე მდგარი საფრთხეების
შესწავლა

ნათია ჯავახიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ეკოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი, ასოცირებული მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

სარჩევი

| | |
|---|----|
| განაცხადი | 3 |
| აბსტრაქტი | 4 |
| შესავალი | 5 |
| ბეჭობის არწივი (<i>Aquila heliaca</i>) | 7 |
| მასალა და მეთოდები | 11 |
| შედეგები | 18 |
| დისკუსია | 36 |
| სამადლობელი | 40 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 40 |
| დანართი 1 ბეჭობის არწივის მონიტორინგის ცხრილი | 45 |

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნ. ჯავახიშვილი

03.07.2017

აბსტრაქტი

ბეჭობის არწივი (*Aquila heliaca*) IUCN-ის მიერ კლასიფიცირებულია როგორც მონყვლადი სახეობა (Birdlife International 2015), საქართველოში კი წითელი ნუსხით დაცული სახეობაა (Georgian biodiversity database, 2017).

საქართველოში ბეჭობის არწივი ნაკლებად შესწავლილ სახეობას წარმოადგენს. მონაცემები მისი ეკოლოგიური მახასიათებლების, ჰაბიტატის შერჩევის, გავრცელების, პოპულაციის რიცხოვნობისა და მის წინაშე მდგრადი საფრთხეების შესახებ მწირია, რაც ხელს უშლის მისთვის ეფექტური კონსერვაციული ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოში ბეჭობის არწივის მობუდარი წყვილების რაოდენობის დადგენა, მისი ახალგაზრდა ინდივიდების მოძრაობისა/სეზონური გადაადგილებებისა და საშინაო სივრცეში მათ მიერ ჰაბიტატების ათვისების განმსაზღვრელი მიწის საფარის ტიპების შესწავლა. დასახული მიზნის მისაღწევად განვახორციელე ბეჭობის არწივის მობუდარი წყვილების მონიტორინგი, აღვირცხე მათი რაოდენობა და გავრცელება. ამასთანავე ბეჭობის არწივის ოთხ მართვეს დაუმაგრე გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) გადამცემები, გავაანალიზე მათი სეზონური გადაადგილება და შევაფასე მათ საშინაო სივრცეში ჰაბიტატების ათვისების ინდექსი დედამიწის საფარის გათვალისწინებით.

შედეგად, საქართველოში დავთვალე რვა-ცხრა მობუდარი წყვილი, განვსაზღვრე სეზონური გადაადგილება და მათი საზამთრო ტერიტორიები, რომელიც ერაყის ცენტრალური და აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებით შემოიფარგლება. ბეჭობის არწივის მართვეები საშინაო სივრცეში მეტწილად იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო ტიპის საფარს, ხოლო თავს არიდებდნენ ურბანულ ზონებს.